


№ 16 (1218) თბილისი აპრილი 1965


საქსი

გამოცემის 43-ე წელი. ღირსი 20 კპ.



საქართველოს
ბიბლიოთეკის
გამომცემი
ფილიალური მუშაკების
კავშირები




საბიბლიოთეკო მუშაკების
კავშირები



კრთავიანი მუშაკების კავშირები




საბიბლიოთეკო მუშაკების
კავშირები




საბიბლიოთეკო მუშაკების
კავშირები

ნ. ჯ. ლომიანი



ვეს, სოფელი!



(„ნიანგის“ პრესკონფერენცია)

მზისა და შრომის ცეცხლი უქიდა მინდორს. ახლა გლეხკაცის მოცდენა დიდი ცოდვაა, ამიტომ „ნიანგმა“ სოფლის ავ-კარგზე სჯა-ბაასისათვის დაუსწრებელი პრესკონფერენცია გამართა. აი, ჩანაწერიც:

...კულაში 11,5 ჰექტარი კეთილშობილი დაფინანსებული არაკეთილშობილად მოექცნენ ოთხ ჰექტარს — გაუთონხავი დატოვეს და სარეველებს შეაქამეს; სოფელში ადგილი აქვს საკარმიდამო ნაკვეთების მითვისებას; წისქვილში უქვეითროდ ფეხავენ მარცვალს... ყოველივე ეს საანგარიშო კრებაზე უქვეითროდ დაფშვეს გულმოსულმა კოლმეურნეებმა.

როგორ შეხვდა კრიტიკას გაკრიტიკებული?

— ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფეხავო (მეწიქვილის გამოსვლიდან).

ნიანგის რეპლიკა: ზემოხსენებული „მიღწევებისათვის“ მოსავლის ზემოზე, დაფინანსების, სარეველების გვირგვინით უნდა შეამკონ მისი მოშენების ინიციატორები.

...ჩემი მტერი ჩავარდა რუსიპირში (თელავის რაიონი). აქაურები სოფლის მეურნეობისათვის დღემდე უცნობ კულტურას აწევენ. ნეტავი რომელ სასოფლო-სამეურნეო კულტურას განეკუთვნება ქვა-ლორი? (სიკველი მინდვრები გაუშენდავი დაუტოვებიათ და კომბაინის ხედვრს ლაწალუწი გაუდის).

მა ადგილიდან: ეგ კიდევ არაფერი! კურდღელაურის, რუისპირისა და სხვა კოლმეურნეობებში ტრაქტორები ოჩანი ხარებივით დგანან.

— რათა, რითინა, რი გულითინა?

— ტრაქტორისტი რო არ ჰყავთ, მითინა! (ტრაქტორისტთა კადრების მომზადებისათვის დროზე არ უზრუნიათ. სამაგიეროდ, სოფლის მომდერალთა გუნდი ახლა ამზადებს სიმღერას — „ახ, ტრაქტორო, მე შენს გამჩენს...“)

მა ისევ იმ ადგილიდან: ესეც არაფერი, აკურის კოლმეურნეობაში 1 ჰექტარზე „ს-100“ ტრაქტორს მხოლოდ ხუთ კილოგრამ საწვავს აკმარებენ. მოდი და ნუ დაიწვები მისი ცოდვი!

„სუ, გაჩუმდით“, — უთხრეს, „ს-100“-მა კი მაინც ასეთი განცხადება გააკეთა: „კდ-35“ ათ კილოგრამ საწვავს ჰამს, „დტ-54“ კი — 52-სა, მე რა ღმერთი გამიწყრა, უმადობა კი არა მჭირს.“

გელტიჟლაპია.

არც სიონლაპია მექანიზაცია დიდ პატეში. ფერმებში დაამონტაჟეს 15 საწველი აგრეგატი და მხიარულად შემოსძახეს: „დელი, დელი, დელსა, ჩვენმა ძროხამ მოუმატა წველსა“. მაგრამ სიმღერა რომ წველადობას ზრდიდეს, ფერმებს კი არა, ზოვეტობებზე ააშენებდნენ. მაღაროსა და ანავის კოლმეურნეობები წველადობაში გვარიანად ჩამორჩნენ. „საკსოფლტექნიკის“ წინაშე გაერთიანების საწყობებში უმოქმედოდ აწყვიდა ორმოდა სილოის ამომღები ტრანსპორტიორების 31 კომპლექტი, დორის საკვებურები, სასმისები, ცხვრის საპარსი აგრეგატები, ავტოსარწყულლები... ცუდად არის დაყენებული მეცხოველეობაში ჩოშიანი სანაშენი მოზარდის მოვლისა და კვების საქმე, სამაგიეროდ, გაუშვებდნენ სოფლის უჯიშო ხელმძღვანელების მოშენების მოვლისა და კვების საქმე.

ახმეტის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში საშუალო წველადობამ იმატა (ვაშა და ტაში), სამაგიეროდ ძროხების სულადობა შემცირდა და რძის საერთო პროდუქციამ იკლო? (მაგალითად, მდარაანის კოლმეურნეობა: შარშანდელთან შედარებით, ითიოეთელი ფურის საშუალო წველადობა 19 კილოგრამით გაზარდეს, საერთო პროდუქცია კი 8 ცენტრით შემცირდა!?)

ნიანგის რეპლიკა: შეწყდეს ძროხების დენადობა, გაზარდით წველადობა!

...6.730 შრომისუნარიანი თერჯოლელი კოლმეურნიდან მიმდინარე წლის პირველ პერიოდში შრომადღებების სავალდებულო მინიმუმი არ შეუსრულებია 1.226 კოლმეურნეს.

თავთავიანი კულტურების მოვლა-აღების საქმეში უთავობით თავი გამოიჩინეს ქოდალოელებმა (გურჯაანის რ-ნი). მათ ჰექტარზე 3,8 ცენტრერი მარცვალი მოიწიეს. კულში მოქცეულ მერობებს მხარს უმშვეებენ კაჭრეთი, ნანიანი, ბაისუბანი, მელაანი, არაშენდა.

ილორის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობა დარსების დღიდან — 1957 წლიდან — სახელმწიფო გეგმებს ვერ ასრულებს. წელსაც არ ღალატობენ ტრადიციას... 1957 წლიდან გამოცვალეს 4 დირექტორი, 41 ზოტექნიკოსი, ვეტექიმი, მთავარი აგრონომი, სელექციონერი. განყოფილების გამგე... ამ ტუტუტუქათმებს კი არაფერი ესმით, მაინც ბატებივით იქვეიან — საქირო რაოდენობით არ დებენ კვერცხს.

ნიანგის შეკითხვა: ვიანგარიშოთ, რამდენი ფრთა ქათამი დაკირდა ძველი უფროსების გაცილებას და ახლებთან შეხვედრას.

კონფერენცია ჩატარდა დევიზით: „მოყვარეს პირში უძრახე!“ გაკრიტიკებულმა მორცხვად დახარეს თავი. ნიანგს ცრემლი მოერია.

გ. ვიწილაშვილი

„ნიანგის“ ხელიკორებსონდენტი.

ამოცილობა ადვოკატმა. თორნიკე გრძელიშვილმა, სამართლო პროცესზე ხულიგან დემეტრაშვილის დასაცავად შეუსვებლად და წყალდაუღვევლად ილაპარაკა ორი საათი, ორი წუთი და ორი წამი. ხუთჯერ ნასამართლევ დემეტრაშვილმან უწოდა: უმანკო, გულჩვილი, უმწიკვლო და უბოროტო. რა ალაპარაკებდა ადვოკატ გრძელიშვილს?

პასუხი: ფული.

კვაჭი აბულაძის სახლს უეცრად მიადგა 12 გოჭი. 16 ინლაური, 28 დედალი და 2 ბოჩოლა. აბულაძე ვეტექიმი?

პასუხი: არა, მისაღებ გამოცდებს იბარებს სამედიცინოზე.

ავტონსპექტორმა კორძახიამ ერთი წლის განმავლობაში დააჯარიმა 225 „გაზ-51“-ის, 532 „ვოლგისა“ და 438 „მოსკვიჩის“ ავტომძღოლი.

რა მიიღო კორძახიამ წლის ბოლოს?


პასუხი: ახალი „ვოლგა“.

პროფესორი სალამე პოლიკლინიკაში ყოველდღიურად ორიოდ ავადმყოფს სინჯავს, ბინაზე — ოციოდეს. რატომ?

პასუხი: პროფესორი პოლიკლინიკაში მოვალეობას იხდის და სახლში — ვალს.

3. მამუკელაშვილი

ნახ. 3. ფირცხალაპანი



ნახ. 64

— აბაგონი, შეხადე, სად გამოაღვა შენს გიჟს ფიჭულბურის ინსტიტუტის დამთავრება!

ენის გასატეხი

ერთ საფეხურს რაკი აცდა,
გაუკაცურ-გადიდკაცდა.

ვეტეკიმი ახირდა რა, დახლში
დადგა დახლიდარად.

„თბილისილბოსტანბადეპრო-
ბის“ ხახვი — ლპობის, კიტრი —
ტკნობის.

ცეკავშირი ცეკავშირად, ბაზ-
რის ფასზე ცეკავს ხშირად.

შეადგინა ბრ. ჩიქვილაძემ

საბავშვო ბაღის აჟივი

ციცქნა თამრიკოს დედა
რა აქტივია, ხედავთ?
ყოველი ზეიმის წინ
(და ორ კვირაში ერთხელ)
კარიკარ დადის კენტად,
შევაგროვოთო ერთად
საჩუქრისათვის ფული —
მასწავლებლისთვის ფული,
ექთანისათვის ფული,
მზარეულისთვის ფული,
დამლაგებლისთვის ფული —
არ გააწყალა გული?!

ლ. მარტაშვილი

მისი საღარი სად არის?

ახლოს არ წავკარებოდი
ავეჯის გამოფენასა,
მაშინ ხომ გადავჩებოდი
ჩემი მეუღლის ენასა.

გამოფენაზე რაც ვნახეთ,
ნეტავ, რა ხელმა აკეთა?
ისე პრიალებს, სახე ჩანს,
კაცი მოიხმარ სარკვედა.

საწოლი, ტახტი, კარადა
ჩამწყრივებულან მწყაზარნი.
ვეძებეთ, დავშვრით ამაოდ.
გადავებრუნეთ ბაზარი,

(არსად ისეთი არა ჩანს,
იმის საღარი სად არის?..)

მეუღლე მათრევს თბილისში
თუ სადმე მალაზიაა,
ავვისტოს მზემა თაკარამ
თავ-პირი დამიზიანა.

გიწამებთ, თქვენ გეაჯებით,
ხატნო ღვთისმშობლის,
ხახულის, —
გამოაჩინეთ ავეჯი
საწყობში გადანახული.

მისა შილდელი





საქონელი

ადრე უფრო ახლა

ხიდი გადეს ფშაზე პანკისელებმა მშვიდობით იარონ ქვეყნიერებაზე და ქვეყნიერება მშვიდობით ეწვიოს პანკისელებსო. ახმეტას საგზაო განყოფილებაში გადო იგი და გული დაიარხენია: ივლიან ზედ, ივლიან და მშენებლებს ტკბილად მოგვიგონებენო. მაგრამ, მშენებლები კი არა, ხიდი გახდა მოსაგონარი. მოვიდა წვიმა, დაღარა იქაურობა ღვარმა და, ყოველგვარი ბუჯისა და ნაღარის გარეშე, წაიღო ხიდი და წაიღო ყველა ხარკი, ყველა გასავალი.

დაფიქრდნენ თავაკები, უხილობა და უგზოობა ერთი და იგივეა და, თუ სიარული გვინდა, ხიდიც გვინდა და უნდა ავაშენოთო. დასხდნენ, იმჯელეს, ითათბირეს, ეს პასუხსაგები საქმე ვის მივანდოთო და, ბოლოს, გადაწყვიტეს: თიანეთის მესამე საგზაო-საექსპლოატაციო კანტორას ეთხოვოთ და ხატის არ გაგვიტეხს, მისთვის ჩვეული გულმოდ-

გინებითა და ოსტატობით აგვიშენებსო.

აბა, ვინ იტყვის, თიანეთლებმა ცულად იმუშავესო. ხიდი ააგეს, მაგრამ რა ხიდი! თვალი უკეთესს ვერაფერს ნახავდა, ოღონდ, თუ გაწვიმდებოდა, ვერაფრით მიუღებოდიო! მისადგომად დაყრილ მიწაში ჩაფლობის შიშით, აბა, ვინ თავმოძულებული გაეკარებოდა იქაურობას.

ესეც არაფერი. მალე მოხდა, რაც მოხდა. მოიღრუბლა ცა, წამოვიდა ნიღვარი და, ვითომც აქ არაფერიაო, ერთი მოსმით წაიღო ხიდი. არმატურის ნაცვლად სილა ჩაეყარათ „წინდახედულ“ მშენებლებს.

ჩავარდნენ პანკისელები საგონებელში და დღემდე ვერ გაურკვევიათ, ვინ აუშენებთ ხიდს ფშაზე და ამ მესამე მშენებელი ორგანიზაციის ნამუშევარი რამდენ ხანს გაუძლებს ფშის აბობოქრებულ ზვირთებს.

8. პანკისელი

ხოლოვნი ავტოკ ქრთამი

იმ წელს უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებს არ ვიბარებდი. გადავწყვიტე, დამეხევნა და სამისო თადარიგაც შევუღებე.

დილით, როცა ოთახში დაფუსფუსებდი, ზარი დაირეკა.

კარი გავადე, ჩემ წინ უცნობი მამაკაცი იდგა.

— დილა მშვიდობისა! — მომესალმა.

— მშვიდობა მოგცეთ!..

— თქვენ დოცენტი დიმიტრი როინიშვილი ბრძანდებით?..

— დიახ!

— სასიამოვნოა...

— რა გნებავდათ?

— მხოლოდ ორიოდე წუთს წაგართმევთ...

— ბრძანეთ, ვისმენთ!

— მე მშობელი ვახლავართ, ჩემი ქალიშვილი თქვენთან აბარებს მისაღებ გამოცდებს.

— არა, მეგობარო, წელს მე არავითარ გამოცდებს არ ვიბარებ.

— თქვენ, რა თქმა უნდა, არ გსურთ ამის გამხელა...

— პატიოსნებას გეფიცებით, სიმართლეს მოგახსენებთ.

— ჭიქა წყალი, თუ შეიძლება.

— მოგართმევთ, — ჩავილაპარაკე და მეორე ოთახში გავედი. როდესაც შემოვბრუნდი, უცნობი აღარ იყო. გამიკვირდა, მაგრამ ეს რა დევს მაგიდაზე? აბიტურიენტის გვარი, სახე-

ლი, მამის სახელი და ჯგუფის ნომერი... ეს კიდევ რაღაა ამ ქაღალდში? დემეტო ჩემო! ფული..

ფულს ხელი დავავლე და გარეთ გამოვევარი!

უცნობი არსად ჩანდა. ძალიან შევწუხდი, მაგრამ რა მექნა?

იმ ხანში ინსტიტუტს არც ვაგეკარებოვარ. ვიშოვე საგზური, შინ გახარებული დავბრუნდი და...

ბოლოს, აგერ არ დგას ის უცნობი მოქალაქე!

— დიდი მადლობა, ბატონო! ძალიან უარზე იყავით, მაგრამ...

— რასი მადლობა, მოქალაქე, მე თქვენ პასუხისგებაში მიგცემთ... როგორ გაბედეთ!..


— ნუ ღელავთ, ჩემმა შვილმა ხუთიანი მიიღო და ინსტიტუტშიც ჩაირიცხა. — თქვა და წავიდა.

— მოითმინეთ, მოქალაქე, მოითმინეთ! — ვამოვეკიდე.

მინდოდა დამერწმუნებინა, რომ მე ამ საქმეში არავითარი მონაწილეობა არ მიბილია, აბიტურიენტმა, ალბათ, მხოლოდ თავისი ცოდნით მიიღო ღირსეული ნიშანი, მაგრამ ამაოდ ვერაფერს გავხდი, გამეკეცა.

თქვენ რას იტყვით, ძვირფასო მკითხველე, ბო, ის თანხა ქრთამად ჩამეთლებათ?!

9. გოგიაშვილი



სუენჯა რს ვუყო?

მართალია, ასალი ბინა არ მიმიღია, ერთი პატარა, გამონაცვლი ოთახი მომიცეს, მაგრამ სამსახურში მაინც ყველა მილოცავდა.

კარგად არც კი ამოგვესუნთქა, რომ ქვედა სართულიდან იატაკის საწმენდი ჯოხის ფრად მოურიდებელი პრასუნი მოგვესმა. მე და ჩემმა მეუღლემ ერთმანეთს გაკვირვებული თვალებით შევხედეთ, მაგრამ მალე მივხვდით, რომ უცნობი მეზობელი პირველ სერიოზულ გაფრთხილებას გვაძლევდა ხმაურისათვის. სასწრაფოდ გამართულ ოჯახურ თათბირზე, რომელიც ჩემი ინიციატივით მოეწყო, გადავწყვიტეთ, რაც შეიძლება ხმადაბლა გველაპარაკა და იატაკზე ფეხაკრეფით გვევლო. თათბირის ყველა მონაწილე, შეძლებისდაგვარად, ცდილობდა ასალიდებული დადგენილების განხორციელებას. მაგრამ მოსადენი მაინც მოხდა: პატარა ზაზას მამაპაპისეული სამფეხა ტაბურეტი წაექცა. ბრასუნი განმეორდა, მაგრამ ასლა უფრო ხმამაღლა და უფრო ხანგრძლივად. მე მოთმინების ქვეყრი არ მქონდა, ფილაა მქონდა და ამევესო. გარეთ გამოვედი.

— რაშია საქმე! — ჩავძახე ქვევით.

— საიდან ხარ, შვილო, შენ? — ამომძახა ქვევლიდან გურგვევლი ასაკის ქალმა, რომელსაც სახე ნელსაცხებებით ჰქონდა გაბათქაშებული.

— რაიონიდან ვარ, ისე, ქალაქში დიდი ხანია ვცხოვრობ, — ვუთხარი მე და მივხვდი, რომ კარგად ვერ ვუპასუხებ.

— არა, აქაური რომ არა ხარ, კი გეტყობა. — თქვა მან ირონიით.

— მაინც რა გნებავთ, ქალბატონო, ჩემგან? — მივმართე ყალბი თავაზიანობით.

— რა მნებავს და თუ არ გინდა, ჩემმა ქმარმა თერმომეტრივით დაგებრტყოს, ტყავისძირიანი ტუფლებით არ დაგინახო იატაკზე გავლილი! — კი, მაგრამ რატომ? — აღმომხდა შიშნაქამს.

— იატაკი თხელია და მეხის გავარდნასავით ისმის ფეხის ხმა.

— ქალბატონო! — დავიწყე ვედრების კილოთი, — მეტროში ვმუშაობ და ხშირად ჩემებით მისდგება სამსახურში წასვლა; ჩემქმებს ნაბადს ხომ ვერ გამოვაკერებ?

— არ უშველის მაგას მეტრო ენის გადმოგდება, ან ჩამოდი შენ ქვევით და ჩვენ ამოვალთ ზვეით, ან არა და, მოიქციე ისე, როგორც გეუბნები!

ლაპარაკის გაგრძელება ზედმეტად ჩავთვალე, სახლში შემოვედი და გაიგნებული სკამზე დავჯექი.

ასლა სახლში ყველას ფარეხები გავცვია, ერთმანეთს ხელებით ველაპარაკებოთ. როცა სამსახურში მივიდვარ, ეზოში ქეჩებით ჩავდივარ და ჩემქმებს მერე ვიცავდი. არ დავეძებ, ჯანდაბას ჩემი თავი, შეფურიგდები ჩემს მუსთალ ბედს, მაგრამ სტუმრებს რა გუყოთ, სტუმრებს, რომლებიც მოსალოცად დღეს თუ ხვალ მოვლენ და აუცილებლად ტყავისძირიანი ტუფლები იმეფათ.

ბ. მებურიშვილი

რედაქტორი ნ. დუმბაძე სარედაქციო კოლეგია: ს. კლდიაშვილი, ნ. მაღაზონია, გ. ნიშნიანიძე, მ. ქარჩავა, ნ. შველიძე, ო. ჭელიძე.

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.

რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—8-10-78

ხელმოწ. დასაბ. 7/VIII-1965 წ. ქად. ზომა 70x108 1/2 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმითა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმითა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კბ ცვ გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 2704 უფ 00015 ტირაჟი 40000

65-579

ბავშვული
საბავშვო ინდექსი 76317



მხატვარი

ნაბ. გ. ლომიძე